34.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 245

(საქონლის შესყიდვა)

თვითმმართველი ქალაქი ფოთი 24 ივლისი 2012 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ფოთი (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული) შემდეგში „შემსყიდველი", თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის ივანე საღინაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პონტო", მისი დირექტორის ზურაბ ხორავას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველი" თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თუ ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა. ობიექტის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით.

თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან, ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 24 ივლისის №313 ბრძანების საფუძველზე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10¹–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიტველი მხატვრების სტუმრობასთან დაკავშირებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „შემსყიდველი" ყიდულობს, ხოლო „მიმწოდებელი" ყიდის სასმელ და მინერალურ წყლებს (შემდეგში „საქონელი").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – სასმელი და მინერალური წყლები (იხ.დანართი№1).
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია – 15900000 – სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 15981000 - მინერალური წყლები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 36 (ოცდათექვსმეტი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2012 წლის 24 ივლისს.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე.

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და სამარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – თვითმმართველ ქალაქ ფოთის საკრებულოში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის

მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურში, ერთი - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურში.

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ ფოთი (თვითმმართველი ერთეული)	შპს „პონტო" დირექტორი
თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე	
ივანე საღინაძე	ზურაბ ხორავა
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12 სს „საქართველოს ბანკი" ფოთის ფილიალი	მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №10 სს „ლიბერთი ბანკი" ფოთის ფილიალი
ა/ა GE 49BG0000000912389300 ბ/კ BAGAGE22 ს/კ № 215138143	ა/ა GE45LB0113189552504000 ბ/კ LBRTGE22 ს/კ 215082345

დანართი №1

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

№	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა და განზომილება	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი
1	წყაროს წყალი (0.5 ლიტრი)	20 ცალი	0.80	16.00	თვითმმართველი ქალაქი ფოთი
2	ბორჯომი (0.5 ლიტრი)	20 ცალი	1.00	20.00	
	ჯამი:			36 ლარი	

„მემსყიდველი"

თვითმმართველი ქალაქი ფოთი
(თვითმმართველი ერთეული)

თვითმმართველი ქალაქ ფოთის
საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე საღინაძე

„მიმწოდებელი"

შპს „პონტო"
დირექტორი

ზურაბ ხორავა

საქართველო

თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება

№ 313

24 07 2012 წელი, ქალაქი ფოთი

საერთაშორისო პლენერში „მეგობრობის პალიტრა" მონაწილე მხატვრებთან თვითმმართველობის წარმომადგენლების შეხვედრასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

2012 წლის 24 ივლისს დაგეგმილია საერთაშორისო პლენერში „მეგობრობის პალიტრა" მონაწილე მხატვრებთან თვითმმართველობის წარმომადგენლების შეხვედრა.

ზემოხსენებული შეხვედრის ორგანიზებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) ბიუჯეტის, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გამოიყოს თანხა და სტუმრებითვის შესყიდულ იქნას მინერალური წყლები და სადილი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. საერთაშორისო პლენერში „მეგობრობის პალიტრა" მონაწილე მხატვრებთან თვითმმართველობის წარმომადგენლების შეხვედრასთან დაკავშირებით თვითმმართველი ქალაქ ფოთის (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის) ბიუჯეტის თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გამოიყოს 936 (ცხრაასოცდათექვსმეტი) ლარი მინერალური წყლებისა და სადილის შესყიდვის მიზნით.
2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული საქონლის და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.
3. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურმა უზრუნველყოს აწგარიშსწორება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტისა და სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ივანე საღინაძე

საფუძველი: „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის 2012 წლის 24 ივლისის №1-05/1799 მომართვა.

შემსრ: იურიდიული განყოფილება
ტელ: 22-00-03